განმარტებითი ბარათი
საქართველოს პარლამენტის დადგენილების პროექტზე

„საქართველოს პარლამენტის 2010 წლის ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების შესახებ“

ა) ზოგადი ინფორმაცია დადგენილების პროექტის შესახებ

ა.ა) დადგენილების პროექტის მიღების მიზეზი

დადგენილების პროექტის მიღების მიზეზს წარმოადგენს საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 237–ე მუხლის შესაბამისად საქართველოს პარლამენტის ბიუჯეტის პროექტის განსაზღვრა და საქართველოს მთავრობისათვის წარდგენა.

ა.ბ) დადგენილების პროექტის მიზანი

დადგენილების პროექტის მიღების მიზანს წარმოადგენს საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 237–ე მუხლის შესაბამისად საქართველოს პარლამენტის ბიუჯეტის პროექტის განსაზღვრა და საქართველოს მთავრობისათვის წარდგენა.

ა.გ) დადგენილების პროექტის ძირითადი არსი

დადგენილების პროექტი ითვალისწინებს საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 237–ე მუხლის პირველი და მე–2 პუნქტების შესაბამისად საქართველოს პარლამენტის 2010 წლის ბიუჯეტის პროექტის დამტკიცებას და საქართველოს მთავრობისათვის წარდგენას „საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტში გასათვალისწინებლად.

ბ) დადგენილების პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ. ა) დადგენილების პროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

დადგენილების პროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო იქნება 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი.

ბ. ბ) დადგენილების პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

დადგენილების პროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ. გ) დადგენილების პროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

დადგენილების პროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ. ე) დადგენილების პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართ ვრცელდება მოქმედება

დადგენილების პროექტის მიღება არ იქონიებს ფინანსურ გავლენას პირთა წრის მიმართ.

ბ. ვ) დადგენილების პროექტის დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი)

დადგენილების პროექტით არ დგინდება რაიმე სახის გადასახადი, მოსაკრებელი, ან სხვა სახის გადასახდელი.

გ) დადგენილების პროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) დადგენილების პროექტის მიმარტება ევროკავშირის დირექტივებთან

დადგენილების პროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) დადგენილების პროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან

დადგენილების პროექტი არ არის კავშირში საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთნ.

გ.გ) დადგენილების პროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ საერთაშორისო ხელშეკრულებებთან

დადგენილების პროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ საერთაშორისო ხელშეკრულებებს.

დ) დადგენილების პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს დადგენილების პროექტის შემუშავებაში

დადგენილების პროექტის შემუშავებაში მონაწილეობა არ მიუღიათ სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაციებს, ან ექსპერტებს.

დ.ბ) დადგენილების პროექტის შემუსავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ანდა ექსპერტის შეფასება დადგენილების პროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში

ასეთი შეფასება არ არსებობს.

დ.გ) დადგენილების პროექტის ავტორი

დადგენილების პროექტის ავტორია საქართველოს პარლამენტის აპარატი.

დ.დ) დადგენილების პროექტის ინიციატორი

დადგენილების პროექტის ინიციატორია საქართველოს პარლამენტის წევრი ლაშა თორდია.